



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 03

2020 წელი 6 მარტი

ქ. ბაღდათი

11.00 საათი

2020 წლის 6 მარტს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყემელაშვილი, მურადი ბურჯანაძე, მამუკა გორგოძე, გრიგოლ ტაბეშაძე, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, კობა მშვილდაძე, შალვა დათუაძე, მაკა მესხი, დიომიდე კიკნაველიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, ზაზა ზივზივაძე, გაბრიელ ლიბრაძე, გურამი ჩხეიძე, ვლადიმერ წიქორიძე, გიორგი რობაქიძე, შადიმან გორგოძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, ალექსი ლომინაშვილი.

საკრებულოს წევრები: სულ 23 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: მაია კბილაშვილი, თორნიკე გაჩეჩილაძე, რუსუდან გეწაძე, თემურ მინაძე, ირაკლი გოგსაძე, თეონა ფახურიძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ზანდა ჯიხვაძე- მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში.

საკრებულოს აპარატის უფროსი ნოდარ ებანოიძე და საკრებულოს აპარატის თანამშრომლები საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენლები.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 23 წევრმა, დაესწრო 23 საკრებულოს წევრი. შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი

1. “ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხსენებელი-ზანდა ჯიხვაძე-ფაჩიძე, ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი არმ საკითხებში.

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 23 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს 1. “ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ზანდა ჯიხვაძე- მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში, რომელმაც აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილების, რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებისა და მათთან მომუშავე სპეციალისტების ადმინისტრაციული ხელშეკრულებაზე გადაყვანას, კანონ შესაბამისობაში უდა იქნეს მოყვანილი, რასაც ითვალისწინებს წარმოდგენილი ცვლილება.

აზრი გამოთქვას:

ვლადიმერ წიქორიძემ, მაკა მესხმა, შალვა მშვილდაძემ

კომისიის დასკვნა საკითხზე წარმოადგინა, საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ გვანცა გრძელიძემ.

კენჭის ყრის დაწყებამდე განცხადებისათვის სიტყვა ითხოვა ფრაქცია :ერთიანი

ნაციონალური მოძრაობა“-თავმჯდომარემ გიორგი რობაქიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მისი ფრაქციის წევრები აღნიშნულ ცვლილებას მხარს არ დაუჭერდნენ, რადგან „მართველად არ მიაჩნიათ მერის წარმომადგენლებთან ასეთი ხელშეკრულების გაფორმება და მიაჩნიათ, რომ ეს არის ხელისუფლების მორიგი ქმედება მომავალი არჩევნებისათვის“.

საკრებულოს სხდომა ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 5 06.03. 2020 წ. (დადგენილება თან ერთვის)
მომხრე - 19 წინააღმდეგი -3(გიორგი რობაქიძე, მაკა მესხი, ვლადიმერ წიქორიძე) ;

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 22-მა წევრმა (შალვა დათუაძემ თავი შეკავა)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე